პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 14 სექტემბერი, 1950 წ. № 204 (8764). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მილიონთა ცოცხალი საქმე — „პრავდის“ 13/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).
ს. ტიტარენკო — ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცხრე ტომი (მე-2 გვერდი).
შინაარსიანად, მოფიქრებულად გავაუმჯობესოთ პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
გამსხვილებული კოლმეურნეობის პირველი წარმატებანი (მე-3 გვერდი).
დოცენტი ა. ხიდაშელი — გაუმჯობესდეს ტორფი, რომელიც იყენებენ ბალა... (მე-3 გვერდი).
უშიშროების საბჭოს 12 სექტემბრის სხდომა (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
მორის ტორეზის გამოსვლა ქალაქ გავაში (მე-4 გვერდი).

მილიონთა ცოცხალი საქმე

ჩვენი სამშობლო—მშვიდობისა და გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა დაუვიწყარ დღეებს განიცდის: ლენინ-სტალინის პარტიის ნებით, შემოქმედი და მშენებელი ხალხის ნებით იწყება კაცობრიობის ისტორიაში ჯერ უმაგალითო მშენებლობანი. ვოლგაზე გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურების აგების შესახებ გადაწყვეტილებათა შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა აგებულ იქნას მსოფლიოში უდიდესი თურქმენეთის მთავარი არხი — ამუ-დარია—კრასნოვოდსკის არხი ათას ასი კილომეტრი სიგრძისა.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალწინ სულ უფრო ფართოდ იშლება კომუნისტური მშენებლობის დიადი სტალინური გეგმა.

მეოცე საუკუნის შუა წლებში ენთება მიწის ძველი წიაღის ისტორიული გარდაქმნის ცეცხლი — წარმტაც მოჩვენებასავით ჩნდებიან ტყეები ხორშაკიან ველებში, უდაბნოების ადგილს იკავებენ ბაღები, ელექტროენერგია ერთვის მიწის დამუშავებაში უზარმაზარ სივრცეებზე, წყალი მიემართება მზით გადამწვარ მხარეებში.

— ყარა-ყუმი აყვავებულია!—წინათ განა შეიძლებოდა ამის თქმა?

საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან მღელვარებით, სიხარულისა და თავიანთი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით. მათი ფიქრები მიმართულია ამხანაგ სტალინისაკენ — მისმა გენიამ გააცისკროვნა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი, გააცისკროვნა მომავალ თაობათა ბედი.

გუშინ „პრავდაში“ დაიწყო მოსვლა მრავალი გამოხმაურებისა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის დადგენილებაზე. გამოხმაურება მოდის ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან, მუშების, კოლმეურნეების, მეცნიერებისა და ინტელიგენციისაგან. საბჭოთა ადამიანები თავიანთ წერილებსა და სიტყვებში გამოთქვამენ თავიანთი დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი მადლობის მხურვალე სიტყვებს და იმისათვის მზადყოფნას, რომ მთელი ძალები მოახმარონ თურქმენეთის მთავარი არხისა და ვოლგის ჰიდროკვანძების მშენებლობის გეგმის შესრულებას.

— თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობა, — ამბობს თურქმენეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი ოვეზ მურადნიაზოვი, — ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძალისა და ძლიერების ახალი გამოვლინებაა. სად, რომელ სხვა ქვეყანაში, რომელ დროს დაუსახავთ ადამიანებს ისეთი უზარმაზარი უდაბნოს დამორჩილების ამოცანა, როგორიც ყარა-ყუმია? არსად და არასოდეს! ასეთი ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც კომუნიზმს ვაშენებთ... ჩვენ, კოლმეურნეები, პირობას ვაძლევთ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ამხანაგ სტალინს, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ ამ დიდი არხის რაც შეიძლება სწრაფად აგებას.

ვოლგაზე გიგანტური ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს მთელი ჩვენი ქვეყანა. უმაგალითო მასშტაბის სამუშაოები მოკლე ისტორიულ ვადაში ხორციელდება. მოწინავე საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, ჩვენი მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია აქტიურად ებმებიან მათ წინაშე დასახული ამოცანების უსწრაფესად გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში ჩაღდება დიდი მუშაობა, რომელიც მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური აზრის ყველა მონაპოვარს კომუნიზმის ახალი დიადი მშენებლობის — თურქმენეთის მთავარი არხის სამსახურში ჩააყენებს.

— ჩვენი ქარხნის მუშები, — აცხადებს „პრავდისათვის“ გამოგზავნილ წერილში იაროსლავლის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი ამხ. ფ. მოშკოვი, — მზად არიან შეასრულონ ყოველი დაკვეთა, რათა ხელი შეუწყონ კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის უსწრაფესად აგებას.

ჩვენი ქვეყანა დიად შრომით აღმავლობას განიცდის. საბჭოთა ადამიანები ამჟამად გამსჭვალული არიან მისწრაფებით ახალი შრომითი საგმირო საქმეები განახორციელონ სამშობლოს სასახელოდ. მოდის მრავალი ცნობა, რომ პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, სამეცნიერო საზოგადოებანი მზად არიან თავიანთი საუკეთესო ადამიანები გაგზავნონ სტალინურ მშენებლობებზე. ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სამეცნიერო დაწესებულებებში საბჭოთა ადამიანები მზად არიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ დიადი მშენებლობანი უზრუნველყონ ყველაფრით, რაც მათთვის საჭიროა.

ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მისი აყვავებისა და წინსვლისათვის. საბჭოთა კავშირში ბუნების გარდაქმნას ახლა ისეთი მასშტაბი ეძლევა, რომელზეც წინათ ადამიანს ოცნებაც არ შეეძლო. ბუნებრივ-ისტორიული პირობების უკეთესობისაკენ შეცვლით, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის გეოგრაფიის ძირეულად გაუმჯობესებით ჩვენ ვქმნით პირობებს საწარმოო ძალების ახალი, უფრო ხელსაყრელი განლაგებისათვის.

ასეთი მიზნებისა და ამოცანების დასახვა შეუძლია მხოლოდ ჩვენს მძლავრ ქვეყანას, რომელიც კომუნიზმში გადასვლას ახორციელებს.

ყოველივე ეს კეთდება მშრომელთა საარსებო დონისა და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. სტალინურ გეგმაზე წარწერილია მგზნებარე სიტყვები: —ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის.

საბჭოთა ხალხის განკარგულებაში უდიდესი დამატებითი საზოგადოებრივი სიმდიდრენი გადავა სტალინურ მშენებლობათა განხორციელების შედეგად: ჩვენი ქვეყანა მიიღებს ახალ ასეულ მილიონობით ფუთ პურს, ბამბას, ბრინჯს, შაქარს, ხილს, პირუტყვის მილიონიან ჯოგებს გამოზრდიან გარდაქმნილ სივრცეებზე; აღმოცენდება ახალი სამრეწველო საწარმოები, გაყვანილ იქნება გზები.

საბჭოთა ხალხის, გამარჯვებული ხალხის, შემოქმედი ხალხის დიადი გმირობა მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. კომუნიზმის ახალი გიგანტური მშენებლობანი ცხადყოფენ საბჭოების ქვეყნის ძლიერებას, მისი პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობას.

ვოლგის ჰიდროელექტროსადგურებისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის შესახებ საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილებანი სტალინური ეპოქის **დიადი დოკუმენტებია, რომლებიც მსოფლიოს ხალხებს უჩვენებენ, თუ სად არის სიმართლე, თავისუფლება და ბედნიერება.**

ყველა ქვეყანაში მილიონობით ადამიანები ცხოვრების ფაქტებით სულ უფრო ღრმად იგებენ, რომ მხოლოდ სოციალიზმი ხდის ადამიანს თავისი ბედის პატრონად და ბუნების მეუფედ. ახლა ყველა ხედავს, რომ სოციალიზმის ბანაკი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა. საბჭოთა ხალხის სამშვიდობო საქმეთა სიდიადე განსაკუთრებით ცხადია კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიკის მზარდი დაქვეითების, მასების კატასტროფული გაღატაკების, გამალებული შეიარაღებისა და აზიის ქვეყნებში ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის ავაზაკური აგრესიის ფონზე.

საბჭოთა კავშირის დიადი მშვიდობიანი მშენებლობანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეში შეტანილი გიგანტური წვლილია. ისინი მშვიდობის მომხრეებს აღაფრთოვანებენ კიდევ უფრო აქტიური ბრძოლის საწარმოებლად მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მომავალი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკს ეკუთვნის. მისი უძლეველი დროშის ქვეშ ერთიანდებიან მილიონობით ადამიანები.

ლენინ-სტალინის იდეებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, რომელსაც ბოლშევიკური პარტია მიუძღვის, გაბედულად უყურებს მომავალს. ხორციელდება, მილიონთა ცოცხალი საქმე ხდება სტალინურ მშენებლობათა გრანდიოზული გეგმები. შემოქმედების ბედნიერება, შენების სიხარული აღაფრთოვანებს ჩვენს ადამიანებს.

ხუთი-ექვსი წელი დიდი ვადა არ არის. მაგრამ ის მანძილი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ადამიანი გაივლის, ის საქმეები, რომლებსაც იგი განახორციელებს, თავისი მნიშვნელობით ასეული წლების თანაბარი იქნება. ეს ისტორიული გამარჯვება ჩვენს ქვეყანას ახალ ძლიერებას და ახალ სახელს მოუტანს.

საბჭოთა კავშირის ხალხები, სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო ერთსულოვან ოჯახად მჭიდროდ დარაზმულნი, მზად არიან განახორციელონ ახალი საგმირო საქმეები კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. და ისინი გაიმარჯვებენ!

„პრავდის“ 13/IX მოწინავე

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა 1949 წელს შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კონტრაქტაცია, გაისტუმრეს მტს-ების მუშაობის ნატურსაზღაური და მთლიანად უზრუნველყვეს 1950 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. **აბრამალაძე** პავლე ბესარიონის-ძე —ვანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოჯახის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,6 ცენტნერი ყურძენი.

2. **აბულაძე** პავლე არტემის-ძე—მაიაკოვსკის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,8 ცენტნერი ყურძენი.

3. **ალავერდაშვილი** მატრონა დავითის ასული — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლური, რომელმაც 12,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90 ცენტნერი ყურძენი.

4. **ალადაშვილი** ბაბულია გიორგის ასული—წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლური, რომელმაც 12,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,4 ცენტნერი ყურძენი.

5. **ალადაშვილი** გიორგი ივანეს-ძე—წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ ბრიგადირი, რომელმაც 25,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86,2 ცენტნერი ყურძენი.

6. **ალადაშვილი** ნიკოლოზ თეირანის-ძე — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ ბრიგადირი, რომელმაც 25,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,8 ცენტნერი ყურძენი.

7. **ალადაშვილი** თამარ ივანეს ასული — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლური, რომელმაც 12,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,3 ცენტნერი ყურძენი.

8. **ალუღიშვილი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — წითელწყაროს რაიონის მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 98 ცენტნერი ყურძენი.

9. **არაქელოვი** არმენაკ იაგორის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 118,9 ცენტნერი ყურძენი.

10. **ბაბუაძე** ფილიპე ირაკლის-ძე — ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,9 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,7 ცენტნერი ყურძენი.

11. **ბანძელაძე** ნოე კონსტანტინეს-ძე — ქუთაისის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 7,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,6 ცენტნერი ყურძენი.

12. **ბანძელაძე** შალვა იროდის-ძე — ქუთაისის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 13,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,3 ცენტნერი ყურძენი.

13. **ბენაშვილი** ნიკოლოზ ისაკის-ძე — წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 8,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 86 ცენტნერი ყურძენი.

14. **ბენიძე** კოსტა კაციას-ძე — ცაგერის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,7 ცენტნერი ყურძენი.

15. **ბენიძე** პლატონ როსტომის-ძე—ცაგერის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 13,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87,5 ცენტნერი ყურძენი.

16. **ბერიაშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 128,7 ცენტნერი ყურძენი.

17. **ბლიაძე** ალექსანდრე თომას-ძე—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „მედგარი შრომის“ ბრიგადირი, რომელმაც 12 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58 ცენტნერი ყურძენი.

18. **ბურჯალიანი** ალფესი ალექსის-ძე—ცაგერის რაიონის ორბელის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,5 ცენტნერი ყურძენი.

19. **ბურჯალიანი** ისიდორე მიქელის-ძე — ცაგერის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,4 ცენტნერი ყურძენი.

20. **ბურჯალიანი** სპირიდონ ოქროპირის-ძე—ცაგერის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,6 ცენტნერი ყურძენი.

21. **ბურჯანაძე** ლევან სტეფანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,1 ცენტნერი ყურძენი.

22. **ბუცაშვილი** გიორგი ქიტესას-ძე —სიღნაღის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,5 ცენტნერი ყურძენი.

23. **გაბაძე** კარპოზ სამსონის-ძე — საჩხერის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 111 ცენტნერი ყურძენი.

24. **გაბუნია** იორამ ალექსანდრეს-ძე —ვანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87,2 ცენტნერი ყურძენი.

25. **გამეზარდაშვილი** ვაჟა მიხეილის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83,1 ცენტნერი ყურძენი.

26. **გარჩაკუდაშვილი** ვლადიმერ ამბაკოს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ზეგნის სასოფლო საბჭოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,1 ცენტნერი ყურძენი.

27. **გელაშვილი** ვასილ გიორგის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი სოფლის“ მერგოლური, რომელმაც 9 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 56,3 ცენტნერი ყურძენი.

28. **გელაშვილი** ვერა თედოს ასული —ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი სოფლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,5 ცენტნერი ყურძენი.

29. **გელაშვილი** გიორგი სერგის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,1 ცენტნერი ყურძენი.

30. **გელაშვილი** ლევან სილოვანის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 88,2 ცენტნერი ყურძენი.

31. **გელაშვილი** მაშო საჩინოს ასული —ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „მედგარი ძალის“ მერგოლური, რომელმაც 4,5 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 71,5 ცენტნერი ყურძენი.

32. **გეწაძე** ლევან ალექსანდრეს-ძე—ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,4 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 130,1 ცენტნერი ყურძენი.

33. **გეწაძე** ოლღა პლატონის ასული — ზესტაფონის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,6 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,5 ცენტნერი ყურძენი.

34. **გიორგაძე** შალვა ილიანეს-ძე—ვანის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ მერგოლური, რომელმაც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87,3 ცენტნერი ყურძენი.

35. **გოგოლაძე** ერისტო ალექსანდრეს-ძე — ორჯონიკიძის რაიონის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,4 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 58,9 ცენტნერი ყურძენი.

36. **გოქსაძე** ვალერიან პორფილეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,6 ცენტნერი ყურძენი.

37. **გორგაძე** კონსტანტინე რომანოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის ბორითის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85 ცენტნერი ყურძენი.

38. **გუმბერიძე** ვასილ კონსტანტინეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის მე-2 ობჩის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 14 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90,7 ცენტნერი ყურძენი.

39. **გუმბერიძე** შოთა პროკლეს-ძე—მაიაკოვსკის რაიონის მე-2 ობჩის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,9 ცენტნერი ყურძენი.

40. **დათუაშვილი** გიორგი ივანეს-ძე —გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 105,2 ცენტნერი ყურძენი.

41. **დათუნაშვილი** დავით არშაკის-ძე —გურჯაანის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 88,5 ცენტნერი ყურძენი.

42. **დევდარიანი** ვლადიმერ გულასპის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი შამპანური ჯიშის ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 69,5 ცენტნერი ყურძენი.

43. **დენოსაშვილი** ტერენტი ლუკასძე — მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 90,7 ცენტნერი ყურძენი.

44. **ჯავახიშვილი** არსენ სპირიდონის-ძე—კაჭრეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 6,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,9 ცენტნერი ყურძენი.

(გაგრძელება იქნება)

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა

თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობებმა 4 სექტემბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა.

პარკის ჩაბარება გრძელდება.

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ტონა ჩაის ფოთოლი

ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 31 აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **თოდუა**, მთავარი აგრონომი ამხ. **მიქაძე** და პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. **ჯიქია** იტყობინებიან, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 120 ტონა ჩაის ფოთოლი

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 31 აგვისტოსათვის 100,2 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. **სულუხია**, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. **ხუჭუა** და მთავარი აგრონომი ამხ. **ლაგვილავა** იტყობინებიან, რომ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 120 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

9 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მოხდა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მთავრობის ჯილდოები გადასცა გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, აგრეთვე სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა ჯგუფს.

ლენინის ორდენი, ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ და საპატიო სიგელი სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ გადაეცათ: გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ნ. ი. დანელიას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.092 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, გეგეჭკორის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ვ. პ. კილასონიას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.127 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, გეგეჭკორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს ა. ტ. კოკაიას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.107 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი და გეგეჭკორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლ. ფ. ფიფთურიას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.080 კილოგრამი ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი.

ლენინის ორდენი მიიღეს გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ბ. ი. დანელიამ, გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ტ. გ. ყურაშვილმა, ამავე კოლმეურნეობის მერგოლურმა ნ. პ. ჯახუამ და სხვებმა, სულ 11 კაცმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის 21 მოწინავემ, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“—14 კაცმა და მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 2 კაცმა.

ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა მთავრობის ჯილდოები გადასცა აგრეთვე სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ამიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველოს მუშაკთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვა წარმოთქვა გეგეჭკორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ლენინის ორდენით დაჯილდოებულმა წევრმა მ. კ. ჯღარკავამ, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა ბოლშევიკურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მშრომელებზე ყოველდღიური მზრუნველობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილმა დაჯილდოებულთ მხურვალედ მიულოცა და უსურვა შემდეგი წარმატება მუშაობაში. (საქინფორმი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეცხრე ტომი

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 29-ე ტომში შესულია 1919 წლის მარტიდან აგვისტომდე დაწერილი ნაწარმოებნი. ეს ერთ-ერთი უძნელესი პერიოდი იყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ინგლისელ-ამერიკელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა ომში ავსტრია-გერმანიის კოალიციის განადგურების შემდეგ გააძლიერეს სამხედრო ინტერვენცია საბჭოების ქვეყნის წინააღმდეგ. საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ დაიძრნენ ანტანტის დამქაშები— კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი. ჩვენი ქვეყანა უდიდეს სიძნელეებს განიცდიდა. არ იყო საკმარისი სურსათი ქალაქების მოსახლეობის მოსამარაგებლად, არ იყო საკმარისი საჭურველი და ტანისამოსი წითელი არმიისათვის. ამ პირობებში მუშათა კლასსა და ყველა მშრომელთ უკიდურესად უნდა დაეძაბათ ძალები იმისათვის, რომ ბრძოლაში გაეძლოთ და დაემარცხებინათ მტერი.

ლენინ-სტალინის პარტიის დიადი აღმაფრთოვანებელი და მაორგანიზებელი მოღვაწეობის მეოხებით საბჭოთა რესპუბლიკა ერთიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა. პარტიამ ფეხზე დააყენა მუშები და გლეხები სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი გვიჩვენებენ საბჭოთა ხალხის გმირულ, თავდადებულ ბრძოლას თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს.

ლენინთან ერთად პარტიასა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობდა, რესპუბლიკის თავდაცვის სათავეში იდგა მისი უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი.

15 დოკუმენტში, რომლებიც ტომში პირველად ქვეყნდება, არის ვ. ი. ლენინის ოთხი დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დეპეშა უკრაინის სახკომსაბჭოსადმი, აგრეთვე ლენინისა და სტალინის მიერ ხელმოწერილი „პროექტი ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ“. გიგანტურმა მუშაობამ, რომელსაც მჭიდრო თანამეგობრობით ეწეოდნენ რევოლუციის გენიოსები ლენინი და სტალინი, უზრუნველყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გამარჯვება მის მრავალრიცხოვან მტრებზე.

* * *

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლენინის მოხსენებებსა და გამოსვლებს რკპ (ბ) VIII ყრილობაზე, რომელიც შედგა 1919 წლის მარტში. ყრილობამ ჩაიარა შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის საბრძოლველად პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

რკპ (ბ) VIII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის მუშათა კლასის ბრძოლაში და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში. პარტიის პროგრამის მოსამზადებელ მასალებში—„რკპ(ბ) პროგრამის პროექტის შავი მონახაზი“, „რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები“, „რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტი“ და სხვ. ლენინმა შეიმუშავა პროგრამის თეორიული საფუძვლები, ჩამოაყალიბა პარტიის ამოცანები პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამხედრო დარგში, აგრარულ და ეროვნულ საკითხებში, სახალხო განათლების დარგში და სხვ. პარტიის ახალი პროგრამის შემუშავებისას ლენინი ეყრდნობოდა ახალი ისტორიული ეპოქის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის თავისებურებებს, ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

„რკპ (ბოლშევიკების) პროგრამის პროექტში“ ლენინი აღნიშნავდა, რომ XX საუკუნის დამდეგიდან კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია კაპიტალისტთა მძლავრი მონოპოლისტური კავშირების შექმნა, კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობათა უმაღლესად გამწვავება, სოციალისტური რევოლუციის ხანის დადგომა.

„მხოლოდ პროლეტარულ, კომუნისტურ რევოლუციას, — წერდა ლენინი, — შეუძლია გამოიყვანოს კაცობრიობა იმ ჩიხიდან, რომელიც შექმნეს იმპერიალიზმმა და იმპერიალისტურმა ომებმა. როგორიც უნდა იქნეს რევოლუციის სიძნელენი და მისი შესაძლო დროებითი წარუმატებლობანი ან კონტრრევოლუციის ტალღები, — პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება გარდუვალია“ (თხზ., ტ. 29, გვ. 103).

ყრილობაზე პროგრამის განხილვისას ლენინმა ამხილა ანტიბოლშევიკური შეხედულებანი ბუხარინისა, რომელიც წინადადებას იძლეოდა ამოეღოთ პროგრამიდან პუნქტი კაპიტალიზმის შესახებ, წვრილსაქონლური წარმოებისა და საშუალო გლეხის მეურნეობის შესახებ. ეს შეხედულებანი გამოხატავდნენ საბჭოთა მშენებლობაში საშუალო გლეხის როლის მენშევიკურ-ტროცკისტულ უარყოფას და იწვევდნენ წვრილსაქონლური გლეხური მეურნეობიდან კულაკური ელემენტების წარმოშობისა და ზრდის ფაქტის მიჩქმალვას.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ბოლშევიკური პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს ზუსტ მეცნიერულ საფუძველს და ასახავდეს იმას, რაც სინამდვილეში არსებობს.

ლენინმა გაანადგურა ბუხარინ-პიატაკოვის დიდმპყრობელური, შოვინისტური გამოსვლები პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლების პუნქტის შეტანის წინააღმდეგ. ლენინმა ამ გამოსვლებს შეფასება მისცა, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან ჩამოშორებას, და აღნიშნა:

„...ჩვენ უნდა ვუთხრათ სხვა ერებს, რომ ბოლომდე ინტერნაციონალისტები ვართ და მივისწრაფვით ყველა ერის მუშათა ნებაყოფლობითი კავშირისაკენ“ (გვ. 173).

ბოლშევიკების პარტია განუხრელად ახორციელებს ეროვნული პოლიტიკის ლენინურ-სტალინურ პრინციპებს. ამ პოლიტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ თანამეგობრობას წარმოადგენს.

რკპ (ბ) პროგრამამ შეაჯამა დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარნი და განსაზღვრა პარტიის ამოცანები მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პერიოდისათვის. ეს პროგრამა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შესანიშნავი დოკუმენტია.

„ჩვენი პროგრამა, — ამბობდა ლენინი ყრილობაზე, — იქნება უძლიერესი მასალა პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, იქნება ის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მუშები იტყვიან: „აქ ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ძმები არიან, აქ ჩვენი საერთო საქმე კეთდება“ (გვ. 198).

ბოლშევიკური პარტიის პროგრამა და სსრ კავშირში მისი განხორციელებისათვის ბრძოლის დიადი გამოცდილება წარმოადგენს შთამაგონებელ მაგალითს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობას ხელმძღვანელობენ, ყველა მოძმე კომუნისტური პარტიისათვის.

პარტიის VIII ყრილობაზე ლენინმა გააკეთა მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, რომელშიც დაასაბუთა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ. ლენინმა ცხადყო, რომ იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა საშუალო გლეხი, რომელიც გლეხური მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა და ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მერყეობდა, დიდად დამოკიდებული იყო სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის ბედი.

„როცა პროლეტარიატმა დაამხო ბურჟუაზია, განამტკიცა თავისი ძალაუფლება, — ამბობდა ლენინი, — და სხვადასხვა მხრიდან მოჰკიდა ხელი ახალი საზოგადოების შექმნის საქმეს, საშუალო გლეხობის საკითხმა წინა პლანზე წამოიწია“ (გვ. 182).

უკვე 1918 წლის შემოდგომიდან საშუალო გლეხობამ, რომელმაც ნამდვილად დაინახა, თუ რა მოჰქონდა ბურჟუაზიულ-მემამულურ კონტრრევოლუციას, გადაჭრით იწყო მობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. საშუალო გლეხობის მასების ამ მობრუნებას ხელი შეუწყო აგრეთვე ღარიბ გლეხთა კომიტეტების საქმიანობამ, რომლებმაც კულაკები გაანადგურეს. ლენინმა 1918 წლის ნოემბერში წამოაყენა ლოზუნგი — მივაღწიოთ შეთანხმებას საშუალო გლეხთან ისე, რომ ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას.

ლენინის ლოზუნგი საშუალო გლეხობასთან კავშირის შესახებ საფუძვლად დაედო ყრილობის გადაწყვეტილებას გლეხთა საკითხზე. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „VIII ყრილობა იყო მობრუნების მომენტი პარტიის პოლიტიკაში საშუალო გლეხობის მიმართ. ლენინის მოხსენებამ და ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს პარტიის ახალი ხაზი ამ საკითხში“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 304). პარტია საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკიდან გადავიდა მასთან მტკიცე კავშირზე, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნების პირობით.

ლენინმა ცხადყო, რომ საჭირო იყო მტკიცე სისტემატური მუშაობა გლეხთა მასების გარდაქმნისა და სოციალისტურ მშენებლობაში მათი ჩაბმისათვის. ხაზგასმით აღნიშნავდა რა დარწმუნების მეთოდების და საშუალო გლეხობისათვის პროლეტარული სახელმწიფოს მიერ საწარმოო დახმარების გაწევის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ლენინი ამბობდა:

„ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ გლეხობას 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, უზრუნველვყოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნის“ (ე. ი. კომუნიზმის) მომხრე ვარო“ (თხზ., ტ. 29, გვ. 190).

ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები სავსებით დადასტურდა სოციალიზმისათვის შემდგომი ბრძოლის მსვლელობაში. ლენინ-სტალინის პარტიამ განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, გასწია უდიდესი მუშაობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად და გლეხთა ფართო მასებისათვის სოციალიზმის სულისკვეთების ჩასანერგავად. ლენინის საქმის დიდი გამგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ განახორციელა სოფლის მეურნეობის გადასვლა ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ საკოლმეურნეო წყობილებაზე.

ყრილობაზე წითელი არმიის მშენებლობის საკითხის განხილვისას ლენინმა და სტალინმა გადაჭრით გაილაშქრეს „სამხედრო ოპოზიციის“ წინააღმდეგ, რომელიც იცავდა არმიაში პარტიზანობის ნაშთებს და იბრძოდა რეგულარული, დისციპლინიანი წითელი არმიის შექმნის წინააღმდეგ.

ყრილობაზე გამოსულმა ამხანაგმა სტალინმა თქვა:

„...ან შევქმნით ნამდვილ მუშურ-გლეხურ, მკაცრად დისციპლინირებულ რეგულარულ არმიას და დავიცავთ რესპუბლიკას, ან ამას არ გავაკეთებთ და მაშინ საქმე დაიღუპება“ (თხზ., ტ. 4, გვ. 274).

ყრილობაზე ლენინმა და სტალინმა ამხილეს ტროცკის მიერ პარტიის სამხედრო პოლიტიკის გამრუდება, არმიაში ძველი ბოლშევიკური კადრებისადმი მისი მტრული დამოკიდებულება.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც მიღებულ იქნა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, უზრუნველყო მძლავრი წითელი არმიის შექმნა და განმტკიცება. ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების შესახებ, წითელი არმიის მშენებლობის შესახებ გადამწყვეტი როლი შეასრულეს სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებაში.

* * *

29-ე ტომში გამოქვეყნებულ მრავალ მოხსენებაში, სიტყვასა და სტატიაში ლენინი დაუღალავად მოუწოდებდა მუშათა კლასსა და გლეხობის მშრომელ მასებს ფრონტისა და ზურგის განმტკიცებისაკენ, სამეურნეო ნგრევასთან და სასურსათო სიძნელეებთან ბრძოლისაკენ, განუმტკიცებდა მასებს რწმენას წითელი არმიის ძალისადმი.

„წითელი არმია უძლეველია,—ამბობდა ლენინი „მიმართვაში წითელი არმიისადმი“, — ვინაიდან მან გააერთიანა მილიონობით მშრომელი გლეხი მუშებთან, რომლებმაც ახლა ისწავლეს ბრძოლა, ისწავლეს ამხანაგური დისციპლინა, სულით არ ეცემიან, იწრთობიან მცირე დამარცხებათა შემდეგ, უფრო და უფრო გაბედულად მიდიან მტრის წინააღმდეგ, რადგან იციან, რომ მისი სრული დამარცხება მოახლოებულია“ (თხზ., ტ. 29, გვ. 220).

ლენინი დაუღალავად უნერგავდა წითელი არმიის მეომრებს და ყველა საბჭოთა ადამიანს მამაცობას, ბრძოლაში უშიშარობას, განუმარტავდა უცხოელი ინტერვენტებისა და მათი თეთრგვარდიელი დამქაშების წინააღმდეგ სამამულო ომის სამართლიან, წმიდათაწმიდა ხასიათს.

ლენინი უდიდესი გულისწყრომით გმობდა და ამხილებდა ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ და იაპონელ იმპერიალისტებს — ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ავაზაკური ომის სულისჩამდგმელებსა და ორგანიზატორებს, ხალხთა თავისუფლების ჩამხრჩობლებს.

მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები ცდილობდნენ ჩაეხრჩოთ საბჭოების რესპუბლიკა, რომელმაც ხალხებს უჩვენა თავისუფლების გზა, კაპიტალისტური მონობისა და იმპერიალისტური ომებისაგან თავის დაღწევის გზა. რუსეთი პირველი ქვეყანაა, რომელსაც ისტორიამ სოციალისტური რევოლუციის წამომწყების როლი მისცაო, აღნიშნავდა ლენინი. სწორედ ამიტომ იმპერიალიზმის მესვეურები — ჩერჩილები, ვილსონები და მსგავსნი მათნი აწყობდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოების „ჯვაროსნულ ლაშქრობებს“ საბჭოთა რესპუბლიკის განადგურების მიზნით. ხოლო როცა ისინი წააწყდნენ წინააღმდეგობის გადაულახავ ძალასა და სიმტკიცეს მშრომელი მასების მხრივ, რომლებმაც მოიშორეს კაპიტალიზმის უღელი, იმპერიალისტებმა უძლური გააფთრებით ატეხეს ღრიანცელი რევოლუციის „ქაოსზე“, „კანონიერებისა“ და „დემოკრატიის“ დარღვევაზე.

განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა I სრულიად რუსეთის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ამბობდა:

„როცა ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს არხანგელსკი, როცა თავიანთ ჯარებს გზავნიან სამხრეთისაკენ, — ისინი თავისუფლებასა და თანასწორობას იცავენ. აი რა ლოზუნგს ეფარებიან ისინი, და აი რატომ არის, რომ რუსეთის პროლეტარიატი ამ გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში ილაშქრებს მთელი მსოფლიოს კაპიტალის წინააღმდეგ“ (გვ. 499).

რაოდენ სადღეისო, რაოდენ მამხილებელი მნიშვნელობა აქვს ლენინის ამ სიტყვებს ახლა, როცა ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, „კანონიერებისა“ და „თავისუფლების“ დაცვის შესახებ ფარისევლურ ფრაზებს ამოფარებულნი, დანაშაულებრივ, ბარბაროსულ ომს ეწევიან თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ!

ლენინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა მენშევიკები და ესერები, რომლებმაც უღალატეს თავიანთ ქვეყანას და ასრულებდნენ რუს თეთრგვარდიელთა და საერთაშორისო იმპერიალიზმის ხელშემწყობთა საზიზღარ როლს. მენშევიკები და ესერები აწყობდნენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, მიმართავდნენ ტერორს საბჭოთა მოღვაწეების წინააღმდეგ, აქტიურად უჭერდნენ მხარს თეთრგვარდიელ გენერლებსა და ინტერვენტებს. ლენინი მოუწოდებდა მენშევიკ-ესერ გამცემლებისათვის ანგარიშის ულმობლად გასწორებისაკენ. ლენინი ამხილებდა II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერებს, რომლებიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ ანტისაბჭოთა ინტერვენციის მოწყობაში.

სტატიაში „III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ“ ლენინი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიას ახასიათებდა, როგორც „**საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტთა** ორგანიზაციას, რომლებიც მოქმედებენ მუშათა მოძრაობის **შიგნით**, შეაქვთ იქ ბურჟუაზიული გავლენა, ბურჟუაზიული იდეები, ბურჟუაზიული სიცრუე და ბურჟუაზიული გარყვნილება“ (გვ. 464).

იმპერიალიზმის ასეთივე აგენტები არიან II ინტერნაციონალის უბადრუკი ნაბოლარები, თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის წინაშე აშკარა ლაქიობამდე დაეშვნენ. მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერები— ეტლი, ბევინი, გი მოლე, ჟიულ მოკი და სხვები აშკარა თანამონაწილენი არიან ამერიკის იმპერიალიზმის ავაზაკურ ომში კორეის, ვიეტნამის, მალაიის, ბირმის ხალხების წინააღმდეგ.

თავის ნაწარმოებებში ლენინი გვიჩვენებს საბჭოთა წყობილების ძალისა და უძლეველობის წყაროებს. საბჭოთა რესპუბლიკა არათუ გაუმკლავდა თავით ფეხამდე შეიარაღებულ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა არმიებს, არამედ გამანადგურებელი დამარცხებაც მიაყენა მათ.

„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, — ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი მოსკოვის კვანძის რკინიგზელთა კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში, — რომელშიც მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვებაც მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის ყველა სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“ (გვ. 292).

საბჭოთა რესპუბლიკამ შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის შეერთებული ძალები იმიტომ დაამარცხა, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის სათავეში იდგნენ ბრძოლებში გამოწრთობილი პარტია ბოლშევიკებისა, მშრომელთა მილიონიანი მასების უდიდესი ბელადები ლენინი და სტალინი.

29-ე ტომში შესული ნაწარმოებები გვიჩვენებენ, ლენინი და სტალინი როგორ რაზმავდნენ მშრომელებს კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის გასანადგურებლად. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ აღაფრთოვანა და დარაზმა მშრომელთა მასები საბჭოთა რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის ფრონტზე და ზურგში.

ლენინის ნაშრომები ცხადყოფენ ლენინ-სტალინის პარტიის მრავალმხრივ მუშაობას სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მობილიზაციის საქმეში.

„საბჭოთა რესპუბლიკა მტრებით არის ალყაშემორტყმული, — წერდა ლენინი. — იგი **ერთიანი სამხედრო ბანაკი** უნდა იყოს არა სიტყვით, არამედ საქმით.

ყველა დაწესებულების მთელი მუშაობა შევუფარდოთ ომს და გარდავქმნათ სამხედრო ყაიდაზე!“ (გვ. 403).

29-ე ტომში გამოქვეყნებულ მასალებში ასახულია ლენინისა და სტალინის ერთობლივი მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისა და ქვეყნის თავდაცვის ხელმძღვანელობისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი ქმნიდა და განამტკიცებდა წითელ არმიას, იმუშავებდა უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს. ამხანაგი სტალინი წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა უშუალო შთამაგონებელი და ორგანიზატორი იყო.

1919 წლის გაზაფხულზე, როცა იუდენიჩის ურდოები პეტროგრადს უტევდნენ, ლენინის წინადადებით პეტროგრადის ფრონტზე გაიგზავნა ამხანაგი სტალინი. ი. ბ. სტალინისათვის 1919 წლის 29 მაისს გაგზავნილ დეპეშაში ლენინი სთხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია თეთრგვარდიელთა შეთქმულებების აღმოჩენისათვის, მოღალატეთა და ჯაშუშთა მხილებისათვის.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეთქმულებები აღმოჩენილ იქნა, მტრები და მოღალატეები მოსპობილ იქნენ. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა გეგმა ხმელეთიდან ქვეითი ჯარისა და ზღვიდან ხომალდების კომბინირებული დარტყმისა აჯანყებული ფორტების „კრასნაია გორკას“ და „სერაია ლოშადის“ დასაკავებლად და თეთრგვარდიელთა ჯარების გასანადგურებლად. ლენინისათვის 1919 წლის 16 ივნისს გაგზავნილ დეპეშაში ამხანაგი სტალინი იუწყებოდა:

„კრასნაია გორკას შემდეგ ლიკვიდირებულია სერაია ლოშადი...

საზღვაო სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ზღვიდან კრასნაია გორკას აღება თავდაყირა აყენებს საზღვაო მეცნიერებას. მე ისღა დამრჩენია, რომ დავიტირო ეგრეთწოდებული მეცნიერება. გორკას სწრაფად აღება აიხსნება ჩემი და საერთოდ სამოქალაქო პირების უხეშესად ჩარევით ოპერატიულ საქმეებში, რაც იქამდე მიდიოდა, რომ ვაუქმებდით ზღვასა და ხმელეთზე სამოქმედოდ გაცემულ ბრძანებებს და თავს ვახვევდით ჩვენს საკუთარ ბრძანებებს.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ შემდეგშიც ასევე ვიმოქმედებ, მიუხედავად მთელი ჩემი მოწიწებისა მეცნიერების წინაშე“ (თხზ., ტ. 4, გვ. 286).

დიდი რევოლუციონერი და მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი არ ჩერდებოდა იმის წინაშე, რომ გადაჭრით უკუეგდო სამხედრო მეცნიერების მოძველებული დებულებანი და დოგმები და საფუძველს უყრიდა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას.

ყველგან, სადაც კი ფრონტებზე რევოლუციის ბედი წყდებოდა, ლენინი და პარტია ამხანაგ სტალინს გზავნიდნენ. სტალინის სახელთან არის დაკავშირებული გმირი წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი.

* * *

ომიანობის დროის მძიმე პირობებში ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მარქსისტული თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებას. ტომში გამოქვეყნებულია ვ. ი. ლენინის ლექცია „სახელმწიფოს შესახებ“, რომელშიც ჩამოყალიბებულია საფუძვლები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა სახელმწიფოს წარმოშობის, არსისა და ისტორიული ფორმების შესახებ.

თავის ლექციაში ლენინმა ამხილა ბურჟუაზიულ მეცნიერთა და ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატ ლაქიათა „თეორიები“ სახელმწიფოს ვითომდა ზეკლასობრივი ხასიათის შესახებ. ანალიზი გაუკეთა რა სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმებს კლასობრივ-ექსპლოატატორულ საზოგადოებაში, ლენინმა ცხადყო, რომ სახელმწიფო, მიუხედავად მმართველობის ფორმისა—მონარქისტული თუ რესპუბლიკურ-დემოკრატიული ფორმისა, — მუდამ იყო და რჩება ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრის, ექსპლოატირებულებზე ექსპლოატატორების ბატონობის შენარჩუნების მანქანად. სანამ არსებობს წარმოების იარაღ-საშუალებების კერძო საკუთრება, აღნიშნავდა ლენინი, სანამ ბატონობს კაპიტალი, ბურჟუაზიული სახელმწიფო კაპიტალისტების იარაღია იმისათვის, რომ მორჩილებაში იყოლიონ მუშათა კლასი და მშრომელი მასები. ლენინმა განსაკუთრებული ძალით ამხილა ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც საფინანსო კაპიტალის დიქტატურის საფარველს წარმოადგენს. მაგალითად, ლაპარაკობდა რა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომლებსაც ბურჟუაზიის იდეოლოგები სახავდნენ როგორც დემოკრატიის ნიმუშს, ლენინი აღნიშნავდა:

„... კაპიტალის ძალაუფლება, ერთი მუჭა მილიარდერების ძალაუფლება მთელი საზოგადოების მიმართ არსად არ მჟღავნდება ისე უხეშად, ისეთი აშკარა მოსყიდვით, როგორც ამერიკაში. კაპიტალი, რაკი იგი არსებობს, ბატონობს მთელ საზოგადოებაზე, და ვერავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, ვერავითარი საარჩევნო უფლება საქმის არსს ვერ სცვლის“ (თხზ., ტ. 29, გვ. 449).

პროლეტარიატის ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნავდა ლენინი, ის არის, რომ სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში დაამსხვრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და შექმნას თავისი, ახალი, პროლეტარული სახელმწიფო იმისათვის, რომ გაანადგუროს ექსპლოატატორები და მოსპოს ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაცია.

ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“, აგრეთვე სტატიებში „მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში“, „სიტყვაში თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით ხალხის მოტყუების შესახებ“ და სხვა ნაწარმოებებში ლენინი ავითარებს მარქსიზმის მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ცხადყოფს წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ და პროლეტარულ დემოკრატიას შორის, გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლება დემოკრატიის უმაღლესი ფორმაა:

„საბჭოთა ანუ პროლეტარულმა დემოკრატიამ მსოფლიოში პირველად შექმნა **დემოკრატია** მასებისათვის, მშრომელთათვის, მუშებისა და წვრილი გლეხებისათვის.

მსოფლიოში ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა მოსახლეობის **უმრავლესობის** ისეთი სახელმწიფო ხელისუფლება, ამ უმრავლესობის **ნამდვილი** ხელისუფლება, როგორიც საბჭოთა ხელისუფლებაა“ (გვ. 285-286).

სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა დემოკრატიამ თავის აყვავებას მიაღწია. სტალინური კონსტიტუცია, რომელმაც კანონის წესით განამტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების ფაქტი, სსრ კავშირში გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის განხორციელებაა.

პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა დემოკრატია, ამბობდა ლენინი, შეიძლებოდა მოპოვებული და განმტკიცებული ყოფილიყო მხოლოდ მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის არსებობის მეოხებით:

„... ეს ის პარტიაა, რომელმაც ათეული წლების განმავლობაში მოიპოვა მთელი საფაბრიკო-საქარხნო და სამრეწველო პროლეტარიატის ავანგარდის მდგომარეობა... — ეს პარტია შეუერთდა მუშათა კლასს, და მხოლოდ მას შეეძლო გაეძღოლა ამ კლასს ძველი საზოგადოების ღრმა და ძირეული შეცვლისათვის“ (გვ. 496).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი, ააშენა სოციალისტური [illegible] წარმატებით მიდის კომუნიზმისაკენ.

29-ე ტომში შეტანილი მთელი რიგი ნაწარმოებები მიძღვნილია სამეურნეო და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებისადმი. ნაშრომებში „საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი“, „საბჭოთა ხელისუფლების თანამედროვე მდგომარეობისა და უახლოესი ამოცანების შესახებ“, „მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ რკპ (ბ) მოსკოვის კონფერენციაზე“ და სხვა ნაშრომებში ლენინი აყენებს კონკრეტულ ამოცანებს სასურსათო საქმის, მრეწველობის, ტრანსპორტის მუშაობის მოწყობის დარგში, საბჭოთა ორგანოების კონტროლით სახალხო მეურნეობაში ძველი სპეციალისტების გამოყენების დარგში და სხვ.

ლენინი პირველ პლანზე აყენებს სოციალისტური მშენებლობისათვის მასების დარაზმვის, სახელმწიფოს მმართველობაში, საბჭოების ყველგან განმტკიცებაში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების ჩაბმის საკითხებს. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორგანიზაციული ამოცანები სიტყვის უაღრესად ფართო გაგებით სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა.

„რევოლუციის გამოცდილება ამტკიცებს, — ამბობდა ლენინი სასურსათო და სამხედრო მდგომარეობის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში, — რომ მმართველობის ფორმების შეცვლა ძნელი საქმე არ არის, რომ მემამულეთა და კაპიტალისტთა გაბატონებული კლასის თავიდან მოშორება ისეთი საქმეა, რომელიც შესაძლებელია მოკლე დროში, ხოლო რევოლუციის წარმატებით განვითარებისას რამდენიმე კვირაშიც კი, მაგრამ ეკონომიური ცხოვრების ძირითადი პირობების გარდაქმნა, იმ ჩვევებთან ბრძოლა, რომლებითაც ასობით და ათასობით წლის განმავლობაში იმსჭვალებოდა თვითეული წვრილი მეპატრონე, ისეთი საქმეა, რომელიც, ექსპლოატატორთა კლასის სრული დამხობის პირობით, მოითხოვს მრავალი წლის ბეჯით ორგანიზაციულ მუშაობას“ (გვ. 484).

ტომში შევიდა ვ. ი. ლენინის განთქმული ნაშრომი „დიადი თაოსნობა“, რომელიც შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის, მასების შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციისა და გაშლისათვის პარტიის ბრძოლის პროგრამა გახდა. ამ ნაშრომში ლენინმა კონკრეტულად ჩამოაყალიბა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებანი პროლეტარიატის დიქტატურის არსისა და ამოცანების შესახებ, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში კლასებისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ. ყველა ამ დებულების განხილვას ლენინი უკავშირებდა ძირითად ეკონომიურ საკითხს „შრომის ახალი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც მეცნიერებისა და კაპიტალისტური ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას აერთებს შეგნებული მუშაკების მასობრივ გაერთიანებასთან, რომლებიც მსხვილ სოციალისტურ წარმოებას ქმნიან“ (გვ. 390).

„დიად თაოსნობაში“ ლენინმა გვიჩვენა შრომის მაღალი ნაყოფიერების გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ჩამოაყალიბა პარტიის ამოცანები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდისა და მშრომელთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის დარგში.

კომუნისტურ შაბათობებში, რომლებიც მუშათა კლასის პირდაპირი პასუხი იყო პარტიის მოწოდებაზე „ვიმუშაოთ რევოლუციურად!“, ლენინის გენიამ დაინახა კომუნისტური შრომის პირველი ჩანასახები, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენა, რის მაგალითიც წინათ არასოდეს არ ყოფილა.

ლენინმა ახალის ყლორტები, კომუნიზმის ყლორტები უწოდა პირველ კომუნისტურ შაბათობებს.

„კომუნიზმი იწყება იქ, — წერდა ლენინი, — სადაც მჟღავნდება მძიმე შრომის დამძლევი თავდადებული ზრუნვა **რიგითი მუშებისა** შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითეული **ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის** და სხვა პროდუქტების დაცვისათვის, რომლებიც შეხვდება პირადად მომუშავეებს და მათ „მახლობლებს“ კი არა, არამედ „შორეულთ“, ე. ი. მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოში, შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“ (გვ. 394).

კომუნიზმის პირველი ყლორტებიდან, რომლებიც კომუნისტურ შაბათობებში გამომჟღავნდა, შემდეგში განვითარდა მძლავრი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც ამხანაგმა სტალინმა უწოდა კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა მილიონობით მშრომელთა მაქსიმალური აქტიურობის საფუძველზე.

* * *

ლენინისა და სტალინის შრომები ბოლშევიკების პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი იდეური იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებზე იზრდებიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მილიონობით მებრძოლნი.

ხ. ტიტარენკო

„პრავდა“.

პრესის მიმოხილვა

შინაარსიანად, მოფიქრებულად გავაუქმოთ პარჟიული ცხოვრება

რაიონული გაზეთების ძირითადი ამოცანაა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმდინარე ჯოჯოხეთისა და ღონისძიებათა სისტემატური პროპაგანდის საფუძველზე, პროპაგანდისა, რომელიც ეფყრდნობა კონკრეტულ, მკითხველისათვის ახლობელ და გასაგებ ფაქტებს ადგილობრივი პრაქტიკიდან, რაიონის, კოლმეურნეობის, საწარმო-დაწესებულებების ცხოვრებიდან.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას რაიონული გაზეთები მაშინ შეძლებენ, თუ შინაარსიანად გაუაქტიურებენ პარტიული, შეუნელებლად აზრიქნენ პარტიული ორგანიზაციების გამამტკიცებისათვის, მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული როლის აშაღლებისათვის, კოლმეურნეობისადმი, საწარმო-დაწესებულებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის.

არიან გაზეთები, რომლებიც უგულგულებელყოფენ მუშობის ამ მნიშვნელოვან დარგს. მხედველობაში გვაქვს თიანეთისა და ყაზბეგის რაიონული გაზეთები „კოლქიტერი მესაქონლეოსა“ და „ახალი ხეი“.

ამ რაიონების მშრომელნი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით იბრძვიან ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მათ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. მეცხოველეობის ფერმებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე მრავალი კომუნისტი მუშაობს. ისინი სათავეში უდგანან მშრომელთა პოლიტიკურ და შრომითის ამაღლებას. რაიონში არიან ცუდად მომუშავე პარტიული ორგანიზაციები, მაგრამ ყველაფერი ეს რაიონულ გაზეთებში სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობს.

ნაკლოვანებანი პარტიული ცხოვრების გაუმუქებაში ძირითადად იმით გამოიხატება, რომ რაიონულ გაზეთებში ღრმად ვერ წვდებიან პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას, არ აყრიანებენ ჩამორჩენილებს, „საკმაოდ ვერ აშუქებენ ნაშრომიანი გამოცდილებას, ვერ ინობა უგულგამოა, ირაკონტროლება, თემატიკის სიღარიბე.

თიანეთის რაიონულმა გაზეთმა მიმდინარე წლის იანვრიდან სექტემბრამდე „პარტიული ცხოვრების“ რუბრიკით მხოლოდ 16 წერილი გამოქვეყნა, ანუ 3 ინფორმაციული ხასიათისა, 11 წერილში უმთავრესად ლაპარაკია პარტიული განაღლების ქსელის მუშაობაზე.

გაზეთი დუმილით უვლის გვერდს პარტიული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო შრომაში, პარტიული კრების მომზადება და მოწყობა, სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის შეხამება, პარტიული დავალება, მოღებული გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და სხვ.

საქმე მარტო ეს როდია. გამოქვეყნებული წერილები ჯერ-ერთი, ზოგადი ხასიათისაა და, მეორე, ზოგჯერ მათში დაშვებულია შეცდომები.

26 მაისს გაზეთმა დაბეჭდა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის ამბ. ი. არაბულის წერილი „საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“. წერილში ნათქვამია, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციი ვალდებულია მოაწყოს:

„სოციალისტური შეჯიბრება, განსაზღვრის პროგრაფიზორული(?) და კომკავშორული ამოცანები სამეურნეო საკოლმეურნეო ბალანსაკრებლად“.

რომელი პროფკავშირული ორგანიზაცია აქვს მხედველობაში გაზეთს? ანდა რას ნიშნავს პროფკავშირული და კომკავშირული ამოცანები?

შემდეგ ავტორი გვიამბობს სოფელ თიანეთის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის წარმატებებზე და წერს:

„პარტიული ორგანიზაცია ადგილზე (მისული(!) მუშაობის პროცესში სწავლობდა საკითხებს, ერეკვივოდა პრიგადებისა და რგოლების მუშაობაზე, ყურადღებას ცენტრში აყენებდა პოლიტმასიური მუშაობის საქმეს, ამდენად ნაკლოვანებათა გამოვლინების და საწარმო თითბრების სისტემატურად მოწვევის საშუალებით სახვად ნაკლოვანებათა სალაკვიდაციო ღონისძიებებს“.

რომ არაფერი ეთქვათ წერილის სტილზე, ავტორს შეედომაში შეეყვანს მკითხველი. საწარმოო თათბირის მოწვევა კოლმეურნეობის გამეორის საქმეა და არა პარტიული ორგანიზაციისა.

26 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია გ. ყაფარიშვილის წერილი „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს“. სამოცდაათსტრიქონიან კორესპონდენციაში განხილულია სოფელ მაგრანეთის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თითქმის ყველა მხარე. წერილი ზოგადია და ვერაფრით ეხმარება ვერც მკითხველს და ვერც პარტიულ ორგანიზაციას.

პრესელადი პარტიული ორგანიზაციების ნაკლოვანებათა საუძძლიან კრიტიკასთან ერთად რაიონული გაზეთი მოწოდებულია განაზოგადოს და გაავრცელოს მათი დადებითი გამოცდილება. ეს ფიდდ დაიმბარება პარტიულ კადრებს უკეთესად წარმართონ მუშაობა. საშუხარობ, თიანეთის რაიონული გაზეთი ამ ამოცანას არადამაკმაყოფილებლად ასრულებს.

უფერულად, უგულგმოდ და ზერელედ აშუქებს პარტიულ ცხოვრებას ყაზბეგის რაიონული გაზეთი „ახალი ხეიც“.

გაზეთში წერილები პარტიულ თემაზე შემოხვევით ხასიათს ატარებს. გამქვეყნებული ცხოვრებისა კორესპონდენციები ზოგადია. რაიონის ბევრმა კოლეურნეობამ უკვე შეასრულა მეცხოველეობის განვითარების საპმწლიანი გეგმა. ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით პარტიულ ორგანიზაციებს. გაზეთის აქვს შესაძლებლობა ფართოდ გაავრცელოს მათი გამოცდილება, განაზოგადოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში, დაეხმაროს მათ მუშობის უკეთესად მოწყობაში. მაგრამ ამის არ აკეთებს.

გამსხვილებულ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციებს განმტკიცებისათვის ბრძოლა ბოლშევიკური პრესის ღირსების საქმეა. თიანეთისა და ყაზბეგის რაიონულ გაზეთებს ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ.

ეს ნაკლოვანებანი იმით აიხსნება, რომ გაზეთის რედაქციები ღრმად ვერ სწვდებიან პარტიული ცხოვრების საკითხებს, მოწყვეტილი არიან პარტიულ აქტივს, პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა, რიგითის კომუნისტებს, „ეგულგმოდ, მოეფიქრებლად მუშობენ. ამავე დროს ამ ნაკლეს ხელმძღვანელობას უწევენ პარტიის რაიკომები.

თიანეთისა და ყაზბეგის რაიონულმა გაზეთებმა დაიუფიანებლივ უნდა გარდაქნინან მუშობა, სისტემატურად, საქმის ცოდნით გააშუქონ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, ფართოდ ჩაბან გაზეთის მუშობაში აქტორთა აქტივი.



თბილისი. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. სურათზე: მოწინავე სტახანოველები ი. ფალოვი (მარცხნივ) და ფ. ცეიხლაკ, რომლებიც მეშვიდეობის სტახანოველურ ვაჩაზე დგანან, სისტემატურად გადაჭარბებით სრულდებენ შეფერხებით ნაკისრ კალდებულებებს.

ფოტო ეკ. ბანშურეანისა

გამოვიყენოთ ჭორფი, როგორც იაფი საწვავი

საქართველოში სხვა მრავალი სახის წიაღისეულთა შორის საგრძნობი რაოდენობით გვხვდება აგრეთვე ტორფი. ტორფი, როგორც ცნობილია, ფარმოადგენს ჭაობის მეცხარეთა ნამთს, რომელშაც განიცადა უსაერო გახრწნა წყლის ქვეშ. მეცხარეთა გახრწნის მიხედვით განასხვავებენ ტორფის ხუთ ვანეკნა.

საქართველოს ტორფი ძირითადად მიეკუთვნება ახალგაზრდა ტორფების ჯგუფს, სადაც მეცხარეთა გახრწნის პროცესი არ არის სავსებით დამთავრებული და მათში საკმაო რაოდენობით გვხვდება მეცხარეთა ფოთლები, ღეროები და ფესვები. ტორფის საერთო მარაგი საქართველოში დიდია.

ტორფს სახალხო მეურნეობაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მას ხმარობენ სოფლის მეურნეობაში, როგორც ორგანული სასუქს; კომუნალურ მეურეობაში — როგორც საყოფაცხოვრებო სათბობს ბრიკეტების სახით; მრეწველობაში—როგორც ენერგეტიკულ სათბობს და საიზოლაციო მასალას, აგრეთვე, როგორც ნედლეულს სხვადასხვა დეფიციტური ქიმიური პროდუქტის მისაღებად. ტორფის ქიმიური გადამუშავებით შეიძლება მივიღოთ მეთილს სპირტი, აცეტონი, ძმრის მჟავა, ვალერიანის მჟავა, კარბოლის მჟავა, ამიაკი, პირბაგალლიდი, სანთელი (პარაფინი) და მრავალი სხვა. ტორფის ფისის გამოხდით შესაძლებელია მაღალხარისხოვანი საწვავი მასალების — ბენზინის, ნავთის, გაზის და სამოტორო სათბობის მიღება. ამგვარად კი საქართველოში ტორფს ხმარობენ, ისიც მცირე რაოდენობით, მხოლოდ სოფლის მეურნეობაში, როგორც სასუქს. ტორფს დიდი მარაგი თითქმის გამოუყენებელი რჩება.

საქართველოს ტორფის შესწავლით დაგროვილი მეცნიერული დასაბუთებული მასალები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საქართველოს ტორფის ბაზაზე შეიძლება დამზადებულ იქნას საყოფაცხოვრებო ბრიკეტები და განვითარებულ იქნას ქიმიური მრეწველობა ტორფის ენერგო-ქიმიური გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოს ტორფის სამრეწველო მარაგის გამოანგარიშებს, მისი დამუშავების და ბრიკეტების დამზადების საკითხებს სწავლობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტი და უნდა-თქვას, რომ ამ მიმართულებით ბევრ საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია.

ტორფის ხარისხისა და მისი რაციონალური გამოყენების შესასწავლად მნიშვნელოვანი კვლევითი მუშობა გასწია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოტექნიკის კათედრამაც. აქ კვლევითი მუშაობა ეხება ტორფის კომპლექსური ენერგო-ქიმიური გამოყენებისა და ზედაპირული წყის მეთოდების გამოშუშავებას. ცდების შედეგად მიღებული მეტად საყურადღებო ხარისხი. ცდები მოეწყო რესპუბლიკის ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოტანილ ტორფზე, რომლის ტენიანობა ცდების დროს ფარდად 10,6 პროცენტს, ნაცრიანობა 14,3 პროცენტს და თბოფარიანობა 3.800 კალორიას. ტორფის დაბალტემპერატურული გამოხდით მიღებულია: საწვავი ბაზა 21,5 პროცენტის რაოდენობით, პირველად ფისი — 10,9 პროცენტი, ფისქვეშა წყალი—34,4 პროცენტი და ნახვევარკოქსი—33,2 პროცენტი. მიღებული გაზის ყოველი ერთი კუბური მეტრის დაწვით გამოიყო 3.300-3.500 კილო-კალორია სითბო, რაც უახლოვდება საყოფაცხოვრებო გაზის თბოუნარიანობას. პირველად ფისის ფრაქციული დაყოფით მიღებულია ბენზინი—22,2 პროცენტი, ნავთი — 30,5 პროცენტი, კუპრი — 47,3 პროცენტი. ამოიგდა, ყოველი ერთი ტონა ტორფიდან შეიძლება მივიღოთ 26 კილოგრამი ბენზინი, 52 კილოგრამი ნავთი, ამდენივე კუპრი, 215 კუბმეტრი გაზი, 344 კილოგრამი ფისქვეშა წყალი და 332 კილოგრამი ნახვევარკოქსი.

ნახევარკოქსისაგან დამზადებულ იქნა უაალო და უკვამლო ზედაპირული წვის ბრიკეტები, რომლის თბოფარიანობა აღწევს — 7.000 კალორიას ერთ კილოგრამზე. ამ ბრიკეტების თავისებურება ისაა, რომ იწვის უალოდ, არ გამოსაყოფ მავნე გაზებს და არ იძლევა ბვარტლს. წვის შედეგად იძლევა მხოლოდ სუფთა ნახშირანგს. ბრიკეტების დაწვა შეიძლება მარტივ ღუმელში. ერთი ტონა ასეთი ბრიკეტით ფიზიკურად შეეცვალოთ 3 კუბური მეტრი შეშა. საორიენტაციო ტექნიკურ-ეკონომიური ანგარიში გვიჩვენებს, რომ შენობის ბრიკეტებით გათბობა, შეშასთან შედარებით, 20 პროცენტით ნაკლები დაჯდება. გარდა ამისა, ბრიკეტი არ მოიიბოჭვს შენაგისათვის დიდ ფართობს და ამავე დროს არის უფრო ჰიგიენური, ვიდრე შეშა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიკეტის დაწვის შედეგად მიღებული ნაცარი საუკეთესო თვისების სასუქთა შორის უნდა ჩაითვალოს ფოსფორის დიდი რაოდენობის შეცველობის გამო. ასეთი მაღალხარისხოვანი ბრიკეტების დანერგვა კომბინატურ მეურნეობაში საგრძნობლად შეანელებს შეშის მოთხოვნილებას გათბობისათვის, გაიჯანსაღებს ქალაქის ატმოსფეროს, არ გამოიწვევს დანაგვიანებას და შეგვინარჩუნებს ტყეებს გაჩეხისაგან. ტორფის ბრიკეტების ყოფაცხოვრებაში დანერგვა, განსაკუთრებით თბილისში, დიდად ხელსაყრელი იქნება სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით. კიდევ უფრო ხელსაყრელია ბრიკეტების გამოყენება სოფლის მეურნეობაში სათბურების გასათბობად ღია ღუმელების (ბაყალის) საშუალებით. წვის შედეგად გამოყოფილი სუფთა ნახშირანგი გაამდიდრებს სათბურის ჰაერს, ხელს შეუწყობს სათბურებში ნარგავთა განვითარებას, ხოლო ნაცარს გამოიყენებენ ნიადაგის გასანოყიერებლად.

საქართველოს ტორფის შესწავლის ამ წინასწარ შედეგებზე შარშან გაკეთებულ იქნა მოხსენება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრებეებზეც. ეს ხელს უწყობს ენერგეტიკის ინსტიტუტის ენერგოკომისიის სექციის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მოხსენებამ დიდი ინტერესი და დადებითი შეფასება მიიღო.

ახლა საკითხი ეხება პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას იმისათვის, რომ ეს საუკეთესო ხარისხის სათბობი რაციონალურად გამოვიყენოთ. ამისათვის საჭიროა საწარმოო ხასიათის ცდების წარმოება, რაც იკისრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოტექნიკის კათედრამ.

საჭიროა ამ საკითხით დაინტერესდნენ სათანადო ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა გადაწყვეტონ ადგილობრივი ტორფის, როგორც იაფი საწვავი ბაზის, მოკლე დროში გამოყენების საკითხი.

დოცენტი ა. ხიდაშელი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოტექნიკის კათედრის გამგე

როდემდის გაგრძელდება ასე?

ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით დაწყნარდა სოფელ ჯიხაიში (სამტრედიის რაიონი) გამოჩენილი სახზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის მუზეუმის მოწყობა. ამ მიზნით საჭირო თანხებიც გამოიყო. ეს იყო 3 წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე მუზეუმისათვის ექსპონატები შეაგროვეს... მაგრამ მისი გახსნა რატომღაც გაჭიანურდა.

მუზეუმისათვის გათვალისწინებულ შენობაში კერძო მობინადრეები ცხოვრობენ, ხოლო ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატების დიდი ნაწილი იატაკზე ყრია.

საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, მუზეუმის უახლოეს ხანში გასახსნელად.

ვ. კოკასელიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გამსხვილებული კოლმეურნეობის პირველი წარმატებანი

ლანჩხუთის რაიონში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის. კოლმეურნეობათა გაერთიანების შედეგად მცირდება კოლმეურნეობის ხომასხურე და ადმინისტრაციული პერსონალი, უფლებესდება შრომის ორგანიზაცია, რაც ხელს უწყობს გეგმების შესრულებას, კოლმეურნეობათა შემოსავლისა და მოსავლიანობის გადიდებას.

მიმდინარე წლის ივლისში სოფელ ეწრის კირთვის სახელობის კოლმეურნეობას შეეერთდა სოფელ კირთვის კირთვის სახელობის კოლმეურნეობა. გაერთიანებულ კოლმეურნეობას სათავეში ჰაუდგა ადგრონომი ძიელი ჩხაიძე. გაერთიანებამდე აქ ყველი სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში ჩამორჩენილიყვნენ. თვითეულ კოლმეურნეობის მცირე მიწის ფართობი, სუბტროპიკული და სხვა ტექნიკური კულტურების პლანტაციები ჰქონდა. ახლა გამსხვილებულ კოლმეურნეობას 951 ჰექტარი მიწა აქვს. აქედან 248 ჰექტარი სასნეგოსოფსია, 69,2 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 56,1 ჰექტარი ციტრუსები, 33,3 ჰექტარი ტუნგო, 4,92 ჰექტარი ეუნახი, 5,1 ჰექტარი ხეხილის ბაღი. გამეზენებული აქვთ ადგრეთვე ეგალატები, ლუფა, დაფნის სანერგე, ბოსტანი და სხვა კულტურები. აქვთ მეცხოველეობის, მეფრინველეობა და მეფრინველეობის ფერმები. გამსხვილებული კოლმეურნეობა აერთიანებს 209 კომლს 319 შრომისუნარიანი წევრით. გამსხვილების შედეგად შემცირდა მომსახურე პერსონალი, რითაც წლის განმავლობაში დაზოგილია 1.920 შრომადღე.

ეს კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მოწინავეა. ამ სანიმუშოდ არის მოწყობილი შრომა, ეურყეად ახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებებს, რის შედეგადაც შესანიშნავი წარმატებებია მოპოვებული. კოლმეურნეობამ ვადადე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. კოლმეურნეებმა ვალდებულები ეკისრეს წლიური გეგმის გადამტკიცებთ მოკრეფეს და საბლეწყიფოს ჩაბარონ 35 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვთ 20 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფაში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც თ. მოქია და ლ. გოგიჩაიშვილი ხელმძღვანელობენ. ახლა ისინი ჩაის ფოთოლს წლიური გეგმის გადამეტებით კრეფენ. ასევე დაუინტერესდნენ მერგოლურები ს. ჩხარტიშვილი, ნ. ხოფერია და ო. ფხაკაძე, კოლმეურნეები დ. მოქია, ლ. გეფაკაძიე, ე. ბურგალა, ნ. ტუტუში, ნ. ხოფერია, მ. ჭელიე, რ. მაღნაკაკა.

გამსხვილებული კოლმეურნეობის გამგეობა ეურადღებას აქცევს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საამქროს ნაგგის ეიდამდე შესრულებას. კოლმეურნეობაში შექმნილია პირტუყვის საკვების მომპოვებელი ბრიგადა, რომელიც 20 ადამიანისგან. ბრიგადას უკვე დამზადებული აქვს 250 ცენტნერამდე თივა, დასილოსებულია 30 ტონა საკვები. წარმატებანი გრძელდება მუშაობა ზამთრისათვის პირტუყვის საკვების მოსამარაგებლად. პირტუყვის კარგად გამოსაზრთხის მიზნით ამ-ქამად კოლეურნეობაში მიმდინარეობს 120 სული პირტუყვისათვის ბინის შენებლობა.

კოლმეურნე მეცხოველეებმა თვრა-წყარილ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და სერიოზული ეალდებულებანი იკისრეს. კოლმეურნეები ენერგიულად მუშობენ პირტუყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, დიდი ყურადღება ექცევა საკვები ბაზის გაფართოებას, პირტუყვის ჯიშობრივ შერეკვასა და ბოკლ-პატრონობას.

მზადება სიმინდის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ამ-ქამად კოლმეურნეობის თავაური საზრუნავია. შედგენილია მოსავლის აღების გეგმა. სიმინდის აღებაზე ამუშავებს 55 სული მუშა-პირტუყვი. დამატებით გაკეთეს 15 ურემი, კაპიტალურად შეაკეთეს ატრიმანქანა, სრულ წესრიგზე მოეყვანეს სასიმინდეები, საკმაო რაოდენობით არის სასწორები. ეურეულ კოლმეურნეებს დაეფალავი შრომით თავიანთი ეულილი შეაქეთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეზე.

ვ. ჯაველი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დიდდება კუბრეულის სათესი ფართობი

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ყოველ წლიურად დიდდება პურეულის სათესი ფართობი. წელს რაიონის კოლმეურნეობებმა პურეული 382 ჰექტარზე აიღეს. პურის უხვი მოსავალი მოიყვანეს სოფელ ბარდუბნის ეკონომიის სახელობის კოლმეურნეობამ, გეგზოის კოლმეურნეობა „წინსელაში“, ტყაიბილის კოლმეურნეობა „ლენინის ალიდრეში“ და სოფელ დერჩის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივში“.

ამ-ქამად რაიონის კოლმეურნეობები ემზადებიან საშემოდგომო ხორბლის თესვისათვის. მნიშვნელოვანად დიდდება პურეულის სათესი ფართობი. შემოდგომაზე რაიონში ხორბალი დათესილება 500 ჰექტარზე. აქედან 60 ჰექტარზე უნდა დათესილს კაზური დატოტვილი ხორბალი. კოლმეურნეობები. უზრუნველყოფილი არიან საკუთარი ხარისხოვანი თესლით.

საგზაო მშენებლობის ერთთვიური

აფხაზეთში დიდი ყურადღება ექცევა გზების კეთილმოწყობასა და მოვლას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ქმედითი დახმარების შედეგად სანიმშოთ მდგომარეობაშია გზების დიდი ნაწილი, წარმატებით ხორცელდება საგზაო შენებლობის გეგმები. საგზაო შენებლობის დავალება მეორე კვარტალში, აგრეთვე ივლისსა და აგვისტოში გადამეტებითია განხილულები.

1 სექტემბრიდან მიმდინარეობს საგზაო შენებლობის ერთთვიური. ერთთვიურის ჩასატარებლად კარგად მოემზადა თითქმის ყველა რაიონსა; ეროოლად ეწყო შედეგნილი ამ ღონისძიების განხორციელების გეგმა, რომელიც წინასწარ. გაეცნო ცალკეულ რაიონებსა და კოლმეურნეობებს.

გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება საგზაო შენებლობის ერთთვიურის წარმატებით ჩასატარებლად.

(„სახ.ეთა ეფეზეთი“)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲠᲝᲔᲑᲘ ᲡᲝᲩᲨᲘ

ᲡᲝᲩᲨᲘ, 13 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ). თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა, რომელიც გაწაკრძობს თავის გასტროლებს, 12 სექტემბერს სოფელ მაყუბრელებს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ლეონკოვალის ოპერა „ჯაბაზანი“ თეატრის მთავარი რეჟისორის ა. ფუწუნავას დადგმით.

ოდიდ წარმატება ხვდათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს ფ. ამიერასშვილს და ვ. ბაბალეანოს.

თეატრმა აჩვენა აგრეთვე ერთაქტიანი ბალეტი „ᲛᲝᲜᲘᲠᲝᲜᲐᲜᲐ“ ვ. ᲭᲐᲮᲣᲙᲘᲜᲘᲡ დადგმითა და მონაწილეობით.

ᲒᲐᲡᲬᲐᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲩᲔᲰᲝᲡᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ი. სუხიშვილის და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ნ. რამიშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით საგასტროლოდ გამემგზავრა ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთში. (საქდესი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 11 სექტემბერი (საქდესი). კულტურის სარაიონო სახლში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ქუთაისის რაიონის ფიზკულტურელთა კოლექტივის, რომელმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვა საქართველოს რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ფარფალავამ, რომელმაც წითელი დროშა გადასცა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ᲡᲐᲞᲐᲩᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲐᲚᲘᲛ. Გ. ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲠᲝᲨᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 11 სექტემბერი (საქდესი). კულტურის სარაიონო სახლში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ქუთაისის რაიონის ფიზკულტურელთა კოლექტივის, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲠᲝᲨᲐ

უშიშროების საბჭოს 12 სექტემბრის სხდომა

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. (საკდესი). დღევანდელ სხდომაზე უშიშროების საბჭო შეუდგა ამერიკელების მიერ ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საჩივრის განხილვას. ამ საკითხზე საბჭოს განსახილველად წარდგენილია რეზოლუციების ორი პროექტი: ჯერ-ერთი, საბჭოთა კავშირის რეზოლუცია, რომელიც გმობს ამ უკანონო მოქმედებას და მოუწოდებს შეერთებულ შტატებს აკრძალონ იგი; და, მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს დაბომბვის „გამოსაკვლევად" კომისიის შექმნას.

თუმცა საჩივარი შეტანილი იყო ჩინეთის სახალხო მთავრობის მიერ, შეერთებულმა შტატებმა იმ დელეგაციების დახმარებით, რომლებიც მის გავლენაში იმყოფებიან, 11 სექტემბერს ჩაშალეს სსრ კავშირის წინადადება — საბჭოში მოეწვიათ ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლები და მოესმინათ მათთვის. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რეზოლუცია შეტანილი იყო 31 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია კი — 1 სექტემბერს, ამერიკის დელეგაცია ცდილობდა მიეღწია, რომ საბჭოს პირველ რიგში განეხილა ამერიკის რეზოლუცია.

სხდომის გახსნისას საბჭოს თავმჯდომარემ ჯებმა აღიარა, რომ, თუ საბჭო ჯერ განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას, იგი დაარღვევს უშიშროების საბჭოს პროცედურის წესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ოსტინი თავის სიტყვაში აშკარად მოუწოდებდა საბჭოს წესების დარღვევისაკენ და დაჟინებით მოითხოვდა, რომ საბჭოს პირველად კენჭი ეყარა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციისათვის.

ჯები გამოვიდა, როგორც ინგლისის დელეგატი და მხარი დაუჭირა ოსტინის მოთხოვნას, რომ საბჭოს კენჭი ეყარა ჯერ შეერთებული შტატების რეზოლუციისათვის, ხოლო ამის შემდეგ შესდგომოდა საბჭოთა რეზოლუციისათვის კენჭისყრას.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა საკადრისი პასუხი გასცა ოსტინს, მან განაცხადა, რომ ოსტინის მიერ მოყვანილი საბუთები უსაფუძვლოა. ოსტინის წინადადება, თქვა მან, რომელიც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციისათვის პრიორიტეტის მინიჭებას … ფაქტი, შეერთებული შტატები რომ არ აბრკოლებდნენ ჩინეთის მოწვევას.

დასასრულ მალიკმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას გონივრულად მიაჩნია განხილულ იქნას როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ამერიკის რეზოლუცია, მაგრამ რეზოლუციებს კენჭი უნდა ეყაროს იმ რიგით, როგორც ისინი წარდგენილი იყო, რასაც მოითხოვს საბჭოს პროცედურის წესები.

ჯებმა, რომელმაც ამის შემდეგ აიღო სიტყვა, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი თითქოს „დაუსაბუთებელი თავდასხმებით" გამოვიდა, როცა ამტკიცებდა, უშიშროების საბჭოს წევრები შეერთებული შტატების დუდუკზე ცეკვავენო. უშიშროების საბჭო, თქვა ჯებმა, არ დაარღვევს პროცედურის 32-ე წესს, თუ განსახილველად შემოტანილი რეზოლუციებისათვის კენჭისყრის რიგს შეცვლის. ჯებმა წინადადება შეიტანა კენჭი უყარონ საკითხს — რომელი რეზოლუცია უნდა განიხილონ პირველ რიგში — ამერიკისა თუ საბჭოთა კავშირისა.

ინდოეთის წარმომადგენელმა რაუმ განაცხადა, რომ იგი თავს შეიკავებს ერთ-ერთი რეზოლუციის პრიორიტეტის საკითხისათვის კენჭისყრაში, ხოლო ეგვიპტის წარმომადგენელმა ფავზიმ თქვა, რომ იგი მხარს დაუჭერს წინადადებას — პირველ რიგში კენჭი ეყაროს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას, ვინაიდან უშიშროების საბჭო თავის გადაწყვეტილებათა ბატონ-პატრონია და ამიტომ შეუძლია გადასინჯოს კენჭისყრის რიგი. ფავზიმ აგრეთვე განაცხადა, რომ იგი ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის რეზოლუციის წინააღმდეგ, თუ მას პირველად უყარეს კენჭი.

საფრანგეთის წარმომადგენელი შოველიც ასევე ამტკიცებდა, რომ საბჭოს უფლება აქვს გადაუხვიოს პროცედურის წესებს.

შემდეგ გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა აღნიშნა, რომ 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ჩაშალა გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო მთავრობის წარმომადგენლის მოწვევის შესახებ, ახლა კი აჩქარებით ცდილობს თავს მოგვახვიოს წინადადება გამომკვლევი კომისიის შექმნის შესახებ.

მალიკი ამტკიცებდა, რომ არ არსებობს მიზეზი, რომლის ძალითაც ამ შემთხვევაში გადასინჯულ იქნას 32-ე წესი.

მალიკმა გამოთქვა, რომ შეერთებული შტატების გალაშქრება უშიშროების საბჭოში ჩინეთის წარმომადგენლის მოწვევის წინააღმდეგ არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, უშიშროების საბჭოს პროცედურის წესებს და პრეცედენტებს. შეერთებული შტატები ცდილობენ მიჩქმალონ გამოკვლევა, აარიდონ ყურადღება მათ მიერ ჩადენილ აგრესიის აქტს და გააჭიანურონ მთელი ეს საკითხი.

შემდეგ მალიკი შეეხო მოტივებს, რომლებითაც შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ, და განაცხადა, რომ საბოლოო ანგარიშით შეერთებული შტატები ვარაუდობენ კომისიაში შეიყვანონ თავისი საკუთარი ადამიანები, რომლებიც ჩინეთში მზვერავი აგენტები იქნებიან.

შეერთებული შტატები, განაგრძო მალიკმა, პირველად როდი გამოთქვამენ ზარალის ანაზღაურებისათვის მზადყოფნას და ცდილობენ ეს მზადყოფნა გამოსახონ როგორც რაღაც სულგრძელობის აქტი. დადგა დრო ვამხილოთ ეს ცდები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ დაფარონ დანაშაულობანი მოჩვენებითი სულგრძელობით. არ შეიძლება დაიფაროს, რომ შეერთებულ შტატებს, ჯერ-ერთი, ბრალი მიუძღვით საერთაშორისო სამართლის დარღვევაში, და მეორეც, მათ ჩაიდინეს აგრესიის აქტი, რომელსაც ადამიანთა დაღუპვა მოჰყვა. დოლარების ვერავითარი რაოდენობა ვერ აანაზღაურებს იმ ადამიანთა სიცოცხლეს, რომლებიც დაიღუპნენ ამერიკელების მიერ ჩინეთის მოსახლეობის არაადამიანური, ბარბაროსული დაბომბვის შედეგად, და ვერავითარი დოლარი ვერ გააცოცხლებს ამ ადამიანებს.

შემდეგ მალიკმა წაიკითხა მთელი რიგი დეპეშები, რაც მიღებულია ჩინეთის სახალხო ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მხარს უჭერენ საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის მოთხოვნებს, რომ უშიშროების საბჭომ ბოლო მოუღოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას და დაიცვას ჩინელი ხალხის კანონიერი უფლებანი.

შეეხო რა ოსტინის მიერ გამოთქმულ გაკვირვებას ჯოუ ენ-ლაის განცხადების გამო, რომ ჩინეთის სახალხო მთავრობა უკანონოდ მიიჩნევს უშიშროების საბჭოს ყოველგვარ გადაწყვეტილებას ჩინეთის საჩივარზე, რომლის … [illegible]

… ხელს უშლიან, თქვა მან, შეერთებული შტატები, რომლებსაც არ სურთ, რომ ჩინეთმა მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში. ხაზგასმით აღნიშნა რა ოსტინის პოზიციის არათანმიმდევრულობა, მალიკმა დასძინა, რომ საბჭოს უკვე დიდი ხანია ექნებოდა ყველა … ბი, თქვა შემდეგ მალიკმა, ცდილობენ გვერდი აუარონ უშიშროების საბჭოს, თავიდან აიცილონ უშიშროების საბჭოში ამ საკითხის რიგზე დაწვრილებითი განხილვა და ნება არ მისცენ მას მოუსმინოს ჩინეთის წარმომადგენელს. … რომ ზოგიერთ დელეგატს, შესაძლოა, სურდეს ამ საკითხის განხილვა. ამ დროს გომინდანის წარმომადგენელმა ძიან ტინ-ფუმ წინადადება შეიტანა გადაედოთ საბჭოს სხდომა 18 სექტემბრამდე. ამერიკის ბლოკმა მექანიკური უმრავლესობით მოიწონა ეს წინადადება.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 12 სექტემბერს დილით გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები სძლევდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს.

აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით და იონჩხონის (ეისენი) რაიონში ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარები ცდილობენ შური იძიონ თავიანთი დამარცხებისათვის და წინააღმდეგობას უწევენ სახალხო არმიის შემტევ ნაწილებს.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც მდინარე ნაკტონგანის (რაკუტო-კო) აღმოსავლეთ ნაპირზე მოქმედებენ, გატეხეს მტრის სასტიკი წინააღმდეგობა, სოლივით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის ბევრ ადგილას და შეტევას განაგრძობენ.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც სამხრეთ სანაპიროზე უტევენ, ებრძვიან ამერიკის ჯარებს, რომლებიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევიან.

სახალხო არმიის ჯარები, რომლებმაც გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს მოწინააღმდეგეს ფხოხანის (ხოკოდო) სამხრეთით და ანგანის (ანკორი) რაიონში, და ჯარები, რომლებიც იონჩხონის (ეისენი) რაიონში უტევენ, სძლევენ ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების სასტიკ წინააღმდეგობას და განაგრძობენ შეტევას. ამ შეტევის დროს სახალხო არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფხენიანი, 12 სექტემბერი. (საკდესი). … [illegible]

ტელეპრესის სააგენტო სამხრეთკორეელ ჯარისკაცთა მორალური მდგომარეობის შესახებ

პრაღა, 12 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან გადმოგვცემს, სამხრეთ კორეის ჯარების „საბრძოლო სულისკვეთება" იმდენად დაეცა, რომ ამერიკელები სამხრეთ კორეის ზოგიერთ ნაწილებს შლიან და ცალკეულ ჯარის… [illegible]

მორის ტორეზის გამოსვლა ქალაქ ივრიში

… [illegible] … პერის, კატლას, შარლის, მიშელის წინააღმდეგ ხმა მისცეს ანრიომ და სხვა გამცემლებმა. მთავრობა კვლავ აღორძინებს ამ კანონებს, მაგრამ ამჟამად 1939 წელი კი არ არის, არამედ 1950 წელია, ამჟამად მუშათა კლასი ისე ძლიერია, როგორც არასოდეს არ ყოფილა. ამის დამაჯერებელი მაგალითია ის, რომ ქალაქ როანში გაამართლეს მშვიდობისათვის 18 მებრძოლი. კიდევ არის შესაძლებლობა უკან დავახევინოთ ომის გამჩაღებლებს. ამისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას მუშებისა და გლეხების კავშირი, კომუნისტ, სოციალისტ და კათოლიკე მშრომელთა კავშირი. პლევენმა სტრასბურგში განაცხადა, რომ ჩვენი პარტიის ზრდის მიზეზი თითქოს „დროებითი უკმაყოფილებაა". პლევენი ცდილობს გაიმხნეოს თავი და გაამხნეოს პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფი პირები, აგრეთვე მექრთამეები. მან მშვენივრად იცის, რომ კომუნისტური პარტიის გავლენა გამოწვეულია ღრმა და მუდმივი მიზეზებით.

სულ უფრო მეტი ფრანგის თვალში პარტია არის ხალხის მასების საარსებო მოთხოვნათა დამცველი, თავისუფლებათა დამცველი, როგორც 1934 წელს იგი მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დამცველი იყო.

პლევენსა და მის თანამონაწილეებს ჩვენთვის ვერ უპატიებიათ აგრეთვე ჩვენი სისპეტაკე. ჩვენი პარტიის არც ერთი წევრი არასოდეს არ ყოფილა გარეული რაიმე ბინძურ საფინანსო სკანდალში. სწორედ ეს არის ყველა არჩევნებში ჩვენი წარმატების მიზეზი. და არჩევნები მომავალ კვირას რომ მოხდეს, ეროვნულ კრებაში უფრო მეტი წარმომადგენელი გვეყოლებოდა, ვიდრე დღეს, და ისინი თვითონაც ისე დარ… [illegible]

ბულგარეთში ჩავიდა საბჭოთა კოლმეურნეების დელეგაცია

[illegible]

საცხენოსნო შეჯიბრება აფხაზეთის პირველობაზე

სოხუმი. (საქ. კორ.). სამი დღის განმავლობაში, სოხუმის მახლობლად ეშერის აეროდრომზე მოეწყო საცხენოსნო შეჯიბრება 1950 წლის აფხაზეთის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს გუდაუთის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირისა და გაგრის რაიონების კოლმეურნე მხედართა საუკეთესო გუნდებმა. შეჯიბრება ჩატარდა 26 კილომეტრზე საველე სვლაში, ისინდში, ცხენბურთში, მკერდაობაში. ამ სახეებში მაღალი ოსტატობა გამოიჩინეს გულრიფშელმა კოლმეურნემ ა. გრიგოლიამ, გუდაუთელმა ვ. თარბამ და სოხუმის რაიონის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. ბერიამ. 2 და 4-კილომეტრიან დოღში წარმატებას მიაღწიეს გულრიფშელმა ვ. ახალაიამ, გუდაუთელმა ს. ჩანბამ, ოჩამჩირელმა ნ. ნადარაიამ და გალელმა ა. აბულაძიანმა.

მეტად საინტერესო იყო მარულა 10 კილომეტრზე, რომელშიც მონაწილეობდა 12 ცხენ… [illegible]

ეთნოგრაფიული ექსპედიცია ამბროლაურის რაიონში

… [illegible] … მაჭავარიანი და გ. ჯავახიშვილი.

ექსპედიციამ შეისწავლა ამბროლაურის რაიონის მოსახლეობის შრომითი გამოცდილება, საწარმოო ჩვევები და ახალი ყოფა.

ექსპედიცია ძირითადად მუშაობდა მევენახეობისა და მეღვინეობის ხალხური კულტურის შესწავლაზე. ექსპედიციის მუშაობის პროცესში გამოვლინებულია ბევრი საინტერესო ფაქტი, ვაზის კულტურის მრავალი ჯიშის ღრმად მცოდნე და ამ დარგში ახლად დაწინაურებული შემოქმედი მუშაკი.

ექსპედიციამ რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობაში მოაწყო კვლევითი მუშაობა, უფრო ხანგრძლივად ხვანჭკარაში, სადაც აღმოჩენილ იქნა მეცნიერებისათვის ძვირფასი ეთნოგრაფიული მასალა.

მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით ექსპედიციის წევრებმა, ისტორიის მეცნიერების კანდიდატებმა ი. ჭყონიამ და მ. გეგეშიძემ კოლმეურნეებისათვის წაიკითხეს ლექციები თემებზე: „ადამიანის წარმოშობა", „ახალი ყოფა გორის რაიონის სოფელ თორტიზის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში".

ლექციებს კოლმეურნეობაში დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ექსპედიციამ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო აგრეთვე ეთნოგრაფიული მასალების გამოფენა, რასაც ბევრი მნახველი ჰყავდა.

სანკულტურის თეატრში

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

თეატრებში

[illegible]

ა. აფაქიძე, პ. მეტრეველი, ა. კალანდაძე, ნ. კილაძე, ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ღლონტი, ვ. ჯაფარიძე, მ. ბადრიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ გ. ყ. ნიორაძეს მისი დის **იულია ყაფლანის ასულ ნიორაძე-ლექვინაძის** გარდაცვალების გამო.

ბიძა მაკარ, ბიძაშვილი ტატიანა გორდულაძეები, მარუსა ბერქაია, გრიშა ჩიხლაძე იუწყებიან **ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ტ. მელაძეს მისი მამის **ანდრია მელაძის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 14-IX სოფელ ეწერში (აბაშის რაიონი).

მეუღლე მიხეილ მენაბდე, შვილი ოთარ, დედა ლიზა ცერცვაძე, და თამარ ლიქავა იუწყებიან, რომ 17-IX, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ფატი შერბაკოს ასულ ცერცვაძე-მენაბდის** პანაშვიდი.

ა. რუხაძე, შ. გრძელიშვილი, ე. სარაშვილი, … [illegible]

შვილი კობა, დები ლიდა, მინადორა, დისწულები ოთარ, შურა, ელეონორა, ნოშრევან იუწყებიან, რომ 17-IX, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **პეტრე ათანასეს-ძე კობიძის** პანაშვიდი.

მეუღლე მარიამ, შვილი ნინო, სიძე შალვა ქორიძე იუწყებიან **პლატონ მიხეილის-ძე შავლიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-IX სოფელ ჯიმითში (კასპის რაიონი).

ქ. კერესელიძე, დ. ჩიხლაძე, ნ. კანდელაკი, პ. ავალიშვილი, ნ. კორძაია, ზ. ბიჭინაშვილი, ლ. მაჩაბელი, მ. ჭიპაშვილი, თ. ფხაკაძე, ი. ასათიანი, ე. გაბუნია, გ. ნიქობაძე, ქ. კალანდაძე, ბ. კალანდარიშვილი, ვ. სიხარულიძე თანაგრძნობას უცხადებენ რ. ლექვინაძეს და გ. ედილაშვილს მათი დედის **იულია ყაფლანის ასულ ნიორაძე-ლექვინაძის** გარდაცვალების გამო.

გ. ა. და მ. ს. ნიშნიანიძეები იუწყებიან ინჟინერ **ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ადიგენის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან **ხუსეინ სულეიმანის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას.

… [illegible] … შვილი, ქ. ენუქიძე, პ. ფუტკარაძე, შ. კუხალაშვილი, შ. ერაძე, ვ. ზაზაშვილი იუწყებიან **ხუსეინ სულეიმანის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალებას.

თ. კვალიაშვილი, ქ. ჯაჯანაშვილი, მ. ხეჩინაშვილი, ლ. მებუკე, ე. პაპავა, ლ. ნიორაძე, ა. ტერ-გრიგორიანი, ს. ელენტი, ქ. დათეშიძე, თ. დათეშიძე თანაგრძნობას უცხადებენ ლექვინაძეების ოჯახს **იულია ყაფლანის ასულ ნიორაძე-ლექვინაძის** გარდაცვალების გამო.

მ. თაბაგარი, შ. სარჯველაძე, ქ. ფირცხალავა, გ. ბერძენიძე, გ. სარჯველაძე, ო. ნიშნიანიძე, რ. თევდორაძე, გ. ახვანიძე, ტ. ინასარიძე, ო. ჯულელი იუწყებიან **ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

ა. ბოსიკაშვილი, ვ. გეგეჭკორი, მ. ბოსტაშვილი, ნ. ქარციძე, თ. მეხრაბეკიანი, ნ. ბარნოვა, ლ. თუშმალიშვილი, ვ. ტაბატაძე, ს. მახარაძე, თ. ჩაჩანიძე, მ. გოგოლაძე, ვ. იტრიევა იუწყებიან **ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

ეკატერინე, მერი, თინა, ნელი, კოტე, ნათელა უზნაძეები, ი. სეხნიაშვილი, ლ. ედილაშვილი იუწყებიან **ვიქტორ კონსტანტინეს-ძე უზნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-IX, 8 ს. გამოსვენება 16-IX, 6 ს. ათარბეგოვის, 10.

… [illegible] … მშობლები იოსებ, ნინო, და ზინა, დისწული ჯუმბერ, ბიძა ეზეკი ცოლშვილით ნამიჩეიშვილები იუწყებიან **ნიკოლოზ იოსების-ძე ნამიჩეიშვილის** გარდაცვალებას.

… [illegible] … მაისაშვილი, სიძეები / ლ. ენუქიძე, მ. ეპიტაშვილი, ქ. ომიაძე იუწყებიან **მიხეილ თადეოზის-ძე მაისაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16-IX, 7 ს. გამოსვენება 17-IX, 2 ს. ნავთლუღი, რკინიგზის ბინა, 9.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05851